



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 42  
08/10/2020

42-06-4-202010081202



**განკარგულება N42**  
07 ოქტომბერი 2020 წელი

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ.26.26.30.335) დაბა ლაითურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 26634.00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ მიმაგრებული წყალმომარაგების ახალი შენობა-ნაგებობების (წყლის სამარაგო ავზი, წყალსაქაჩი სადგური, ჭაბურღილები და სხვა ნაგებობები) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სატისი“-სათვის (ს/ნ 437066201) უსასყიდლო უზუფრუქტით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

**მუხლი 2.** განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

